



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბურნაშეთი

ბურნაშეთი, სოფელი ახალქალაქის რ-ნში (აზავრეთის სოფლის საკრებულო), ახალქალაქის პლატოს ჩრდ. ნაწილში, მდ. ჭერულის (ფარავნის აუზი) მარცხ. ნაპირას. გ. დ. 1900 მ, ახალქალაქიდან 22 კმ. 759 მცხ. (1989). მეცხოველეობა, მემინდვრეობა. სამ. ზოგადსაგანმან. სკოლა, კლუბი, მედპუნქტი.

ბ-ში ადამიანი ჯერ კიდევ წინაფეოდალურ ხანაში სახლობდა, რასაც მოწმობს გორანამოსახლარი. სოფლის ძვ. სახელი „ბურნაშენი“ უნდა ყოფილიყო. შემონახულია დარბაზული ეკლესია, რ-საც სამხრ-იდან შეწყვილებული თაღებით გაფორმებული კარიბჭე აქვს. არქიტ.-დეკორ. ფორმებითა და აღმ. ფასადის რელიეფის მიხედვით აშენებული უნდა იყოს არა უგვიანეს X ს-ისა. დაცულია ორი წარწერა (X და XIII სს.). ერთი წარწერა აღმ. ფასადზეა, რელიეფური კომპოზიციის გვერდით, რ-ზედაც გამოსახულია დანიელი ლომთა ხაროში. ასომთავრულ წარწერაში ეკლესიის მშენებელთა უფლისადმი მავედრებელი ფორმულაა. მეორე წარწერა ინტერიერშია, ჩრდ. კედელზე, რ-ის მიხედვითაც, ვინმე გიორგი ნასყიდ ყანას აძლევს „ბურნაშელ“ მღვდლებს მატერ.-კულტ. ძეგლებიდან ასევე აღსანიშნავია მოზრდილი ქვაჯვარი და მრგვალი კოშკის ნანგრევები.

1959 სოფ. ბ. შედიოდა ხერთვისის ლივის ტყე-ჰავახეთის რ-ნში. იგი 11-კომლიანი სოფელი იყო. მოხსენიებულია აგრეთვე ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარში. სოფელში ამჟამად სომხ. მოსახლეობაა, რ-თა წინაპრები აქ გადმოასახლა რუს. მთავრობამ XIX ს. I მესამედში არზრუმის მხრიდან.

წყარო და ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგნ. 1, თბ., 1964, გვ. 153 - 154; ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი 1694 - 1732 წწ., ც. აბულაძის

და მ. სვანიძის გამოც., თბ., 1979, გვ. 153 - 154; ჯიქია ს., გურჯისტანის ვილაიეთის დიდი
დავთარი, წგნ. 2, თბ., 1941.

ნ. ჩუბინაშვილი

დ. ბერძენიშვილი
